



**განხილულია:**

ეკონომიკის, ბიზნესის და მართვის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე  
(ოქმი 26, 18.10.2013)

**დამტკიცებულია:**

თჰუ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 26 ოქტომბრის N5/2013 გადაწყვეტილებით  
თჰუ რექტორის 2013 წლის 26 ოქტომბრის N97/07 ბრძანებით

**მოდიფიცირებულია:**

თჰუ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 3 მაისის N3/გადაწყვეტილებით  
თჰუ რექტორის 2014 წლის 6 მაისის N 38/07 ბრძანებით  
თჰუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 07 თებერვლის N02/2017/გადაწყვეტილებით

**დამტკიცებულია:**

თჰუ რექტორის 2017 წლის 10 თებერვლის N 17/01 ბრძანებით  
თჰუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 18 ივნისის N11/2018/გადაწყვეტილებით  
თჰუ რექტორის 2018 20 ივნისის N 120/07 ბრძანებით

**მოდიფიცირებულია:**

და განხილულია ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის  
საბჭოს სხდომაზე (ოქმი 01, 12.01.2019)

**დამტკიცებულია:**

აკადემიური საბჭოს N01 / 2019 წლის იანვრის გადაწყვეტილებით  
თჰუ რექტორის 2019 წლის 18 იანვრის N16 / 07 ბრძანებით

### ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

1. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: **ბიზნესის ადმინისტრირება (Business Administration)**
2. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი - **აკადემიური**
3. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური - **ბაკალავრიატი**
4. სწავლების ენა - **ქართული**

5. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი (Bachelor of Business Administration)
6. პროგრამის მოცულობა კრედიტებით - საძიებელი აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სავალდებულოა 240 კრედიტის მოპოვება; ერთი კრედიტი არის 25 სთ., ერთი სემესტრის ხანგრძლივობა - 20 კვირა. პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობაა - 4 წელი, 8 სემესტრი.

ერთი აკადემიური წელი მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს, ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.

7. პროგრამის ხელმძღვანელი: აფილირებული პროფესორი ნონა გელიტაშვილი, თანახელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი თამარ ბერიძე
8. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

8.1. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი) ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი, და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე; საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აბიტურიენტი არჩევითი საგნებიდან აბარებს ისტორიას ან გეოგრაფიას.

8.2. უცხო ქვეყნისა და საქართველოს მოქალაქეებს, „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვთ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და შემთხვევებში.

8.3. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვთ საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანების საფუძველზე, ასევე შიდა საუნივერსიტეტო მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად, თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში მობილობის წესით გადმოსულ შესაბამის სტუდენტებს. „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ ამ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

## 9. სფეროს აღწერა

ბიზნესი წარმოადგენს დინამიურად განვითარებად სფეროს, რომელსაც უაღრესად ცვალებად გარემოში უწევს ფუნქციონირება. აღნიშნულ ცვლილებებთან სწრაფი ადაპტირება წარმოუდგენელია შესაბამისი განათლებისა და კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსების მომზადების გარეშე, რომელთაც ექნებათ ბაზარზე ორიენტირებული ხედვა და შეძლებენ, წარმატებით გადაჭრან ბიზნესში არსებული პრობლემები.

თანამედროვე პირობებში, ორგანიზაციათა საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს პროფესიონალი კადრების მომზადება, რომელთაც ექნებათ შესაბამისი ცოდნა და პრაქტიკული უნარი ბიზნესის საშუალო და საწყის დონეზე ბიზნესის მართვის პროცესებში, ასევე სტრატეგიულ და ტაქტიკურ გადაწყვეტილებებში მონაწილეობის მისაღებად.

## 10. პროგრამის მიზანი

„ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამის მიზანი გამომდინარეობს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მისიიდან, სტრატეგიული განვითარების გეგმიდან და ასევე, ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმიდან.

საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზაციის მიზანია, ბიზნესის მიმართულებით თანამედროვე ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავების გზით, წვლილი შეიტანოს პიროვნების განვითარებასა და მისი ინტელექტუალური პოტენციალის რეალიზებაში; უზრუნველყოს შრომის ბაზრის დამსაქმებელთა მოთხოვნების ადეკვატური ხარისხის, სათანადო კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მქონე უმაღლესი აკადემიური განათლების პირველი საფეხურის დონის კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება.

სტუდენტი დაეუფლება პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელ მეთოდებს, გამოიმუშავებს ბიზნეს პროცესების მართვის უნარ-ჩვევებს, ასევე კომუნიკაციისა და სწავლების უნარს, შეეძლება საწარმოო პრაქტიკისა და სფეროს სიახლეების მიდევნება და ცოდნის მუდმივად განახლება.

ამ მიზნების მისაღწევად, „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში ჩართულნი არიან დაინტერესებული მხარეები - აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები.

## 11. დასაქმების სფერო და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

„ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებმა შეიძლება დაიკავონ პოზიციები კერძო ან საჯარო სექტორის ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებით, მართვის საშუალო ან საწყის დონეზე. კერძოდ, კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება, დასაქმდეს სხვადასხვა ფუნქციონალური სფეროს ანალიტიკასა და მენეჯმენტში:

- საჯარო დაწესებულებებში, მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში;
- კერძო სექტორში, როგორც სამეწარმეო ისე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში;
- საერთაშორისო ორგანიზაციებში;
- არასამთავრობო დაწესებულებებში, მათ შორის, საქველმოქმედო ორგანიზაციებსა თუ ფონდებში;
- განახორციელოს კერძო ბიზნეს და სხვა ისეთი საქმიანობა, სადაც საჭიროა ბიზნესის ადმინისტრირების ცოდნა, და არ მოეთხოვებათ მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

„ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით ან/და სპეციალობის შეცვლის მიზნით – სხვა მიმართულების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით.

## 12. სწავლის შედეგები: დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები

„ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინების წარმატებით ათვისებისა და შესაბამისი ოდენობის კრედიტის მოპოვების შემდეგ, სტუდენტს მიენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, რაც ადასტურებს, რომ კურსდამთავრებულს გააჩნია სათანადო დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულეებით.

„ბიზნესის ადმინისტრირების“ საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად, პროგრამის მიზნებიდან და უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, კურსდამთავრებულს მიღწეული ექნება ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესაბამისი საფეხურის დონე, რაც დაჯგუფებულია კომპეტენციების ექვს სფეროში:

### **ცოდნა და გაცნობიერება**

„ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს ბიზნესის საშუალო და საწყის დონეზე ადმინისტრირებისათვის აუცილებელი თეორიული და პრაქტიკული ასპექტების გააზრებული, საფუძვლიანი ცოდნა.

კურსდამთავრებულს ესმის ბიზნესის ბუნება, იცის ბიზნეს საქმიანობის სფეროები, შესაძლებლობები, შეზღუდვები და გამოწვევები; იცნობს ბიზნეს გარემოს და მასზე ზეგავლენის მქონე ფაქტორებს; იცის და შეუძლია ბიზნესის დამხარე ინსტრუმენტების, კერძოდ, - სტატისტიკური მეთოდების, ფინანსური აღრიცხვის, მონაცემთა ანალიზის, მოლაპარაკებების წარმართვის, გადაწყვეტილების მიღების საბაზო მეთოდების გამოყენება; აქვს ბიზნესის ძირითადი ინსტრუმენტების საბაზო ცოდნა, როგორებიც არის ფინანსური ანალიზი, კორპორაციის ფინანსები, მარკეტინგის მენეჯმენტი, სტრატეგიული და ადამიანური რესურსის მენეჯმენტი, ოპერაციების მენეჯმენტი, პროექტების მენეჯმენტი, და სხვ.

### **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს მიღებული ცოდნის საფუძველზე, გამომუშავებული აქვს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ისეთი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები, როგორიცაა: ბიზნეს პროცესებში კონსტრუქციული მონაწილეობა; ბიზნეს საქმიანობაში არსებული პრობლემების გამოვლენა და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრა. გააჩნია ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსათვის დამახასიათებელი მეთოდების გამოყენების უნარი, აქვს პრაქტიკული ან/და წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად - კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტების განხორციელების უნარი; შეუძლია ფაქტებისა და გარემოებების სწორი ეკონომიკური კვალიფიკაცია, ბიზნეს პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისათვის ანალიტიკური საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი.

### **დასკვნის უნარი**

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია ბიზნესის ორგანიზაციის ან ფუნქციონალური სფეროს წინაშე მდგარი პრობლემის იდენტიფიცირება, დიაგნოსტიკა და შეფასება.

კურსდამთავრებულს გააჩნია ანალიტიკური და სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, ამ მონაცემებისა და ბიზნეს სიტუაციების გაანალიზების, შეფასების, განმარტების, არგუმენტირებული მსჯელობის, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი; ბიზნეს პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე მისი გადაწყვეტის თეზისის განვითარებისა და შერჩეული მიდგომის დასაბუთების უნარი.

### **კომუნიკაციის უნარი**

პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება ეფექტური ვერბალური და წერილობითი კომუნიკაცია, როგორც კოლეგებთან, ასევე ბიზნეს პარტნიორებთან, მათ შორის ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. კურსდამთავრებულს საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული უცხო ენის (ინგლისური)

ზოგადევროპული ჩარჩოს შესაბამის B 2.2. (დარგობრივ) დონეზე შესწავლის შედეგად, მშობლიურთან ერთად, უცხო ენაზე შეეძლება ბიზნესისა და ეკონომიკის ტერმინოლოგიის გამოყენებით სათანადო კომუნიკაცია.

### სწავლის უნარი

პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია, დამოუკიდებლად შეაფასოს სამეცნიერო და ბიზნეს პროცესების სიახლეები საკუთარი პროფესიული განვითარებისათვის; აქვს ბიზნეს პრაქტიკის, ბიზნესისა და ეკონომიკის სფეროში მეცნიერების სიახლეების მიდევნების უნარი, შესწევს უნარი, დაადგინოს ქართულ და უცხოურ ენებზე არსებული ინფორმაციის წყაროები (ბიბლიოგრაფია, დოკუმენტები, ვებგვერდები და ა.შ.), მოიძიოს დამატებითი ინფორმაცია; შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა, გააჩნია ცოდნის დამოუკიდებლად და მუდმივად განახლებისა და გაღრმავების უნარი.

### ღირებულებები

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული იცნობს პროფესიული საქმიანობის ეთიკის ფარგლებს და მოწოდებულია დაიცვას ზემოაღნიშნული ეთიკური ნორმები; გაცნობიერებულად ისწრაფვის, თავისი პროფესიული საქმიანობით მონაწილეობა მიიღოს ადამიანური ღირებულებების ფორმირების პროცესში და ხელი შეუწყოს მათ დამკვიდრებას. მოწოდებულია, ხელი შეუწყოს ადამიანის და მოქალაქის უფლებების და თავისუფლებების განხორციელებას და იმოქმედოს სამართლიანობის, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.

## 13. სწავლება-სწავლის მეთოდები

"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამით სწავლების პროცესში, სწავლების შედეგების მისაღწევად, სხვადასხვა სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოყენებულია სწავლისა და სწავლების სხვადასხვა მეთოდები, ან ხდება მათი კომბინირებული გამოყენება. საბაკალავრო პროგრამის რეალიზაციისას სწავლების შედეგების მისაღწევად ადეკვატური მეთოდების შერჩევა ხორციელდება, დინამიურად - სწავლის შედეგების, სასწავლო დისციპლინის სპეციფიკისა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის აკადემიური თავისუფლების პრინციპის გათვალისწინებით. ზოგადად, რეკომენდირებულია კლასიკური ლექციის ფორმატში მაღალი ინტერაქტიულობის მქონე მეთოდების ინტეგრაცია. ცალკეული კომპეტენციის გამომუშავებისას უნდა გამოიყენებოდეს სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პროექტის შემუშავება, პრეზენტაცია, საშინაო დავალება და დამოუკიდებელი მუშაობის სხვა ანალოგიური ფორმები; ასევე, პრაქტიკული კომპონენტი და საბაკალავრო ნაშრომის შესრულება.

"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის რეალიზაციისას გამოყენებული სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები სტუდენტში უნდა ახდენდნენ შემეცნებითი საქმიანობის განვითარებასა და სტიმულირებას. სწავლების მეთოდები ისე უნდა შეირჩეს, რომ გამოიწვიოს სტუდენტის დაინტერესება შესასწავლი თემით, შემოქმედებითად აქტიური და დამოუკიდებელი გახადოს იგი ცოდნის მარაგის დაგროვების პროცესში.

**ლექცია**, შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობენ ლექტორი და სტუდენტი. ლექციის ძირითადი მიზანია შესასწავლი თემის არსის გაგება, რაც გულისხმობს მიწოდებული მასალის შემოქმედებით და აქტიურ აღქმას. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს მასალის ძირითად დებულებებს,

განმარტებებს, აღნიშვნებს, დაშვებებს. საჭიროა მთავარი საკითხების, ფაქტებისა და იდეების კრიტიკული ანალიზი. ლექცია უნდა უზრუნველყოფდეს შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას ზედმეტი დეტალებით გადატვირთვის გარეშე.

**სამუშაო ჯგუფში მუშაობის** დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეს ლექციაზე მოსმენილი თემების გაღრმავების საშუალება. წამყვანი ლექტორის მითითებით სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი მოიძიებს და ამუშავებს დამატებით ინფორმაციას, ამზადებს პრეზენტაციას, წერს ესეს და სხვ. მოისმინება მოხსენებები, იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი ლექტორი კოორდინაციას უწევს ამ პროცესების მიზანმიმართულად წარმართვას.

**პრაქტიკული მეცადინეობის დანიშნულებაა** კონკრეტული პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის პროცესში თეორიული მასალის გამოყენების უნარის ფორმირება, რაც თავის მხრივ თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევის გამომუშავების საფუძველია. პრაქტიკული მეცადინეობის ხელმძღვანელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ამოცანათა და სავარჯიშოთა გადაწყვეტის მეთოდოლოგიაზე, მათ შესრულებაზე და სხვ.

**ლაბორატორიული მეცადინეობა** უფრო თვალსაჩინოა და ამა თუ იმ მოვლენის ან პროცესის აღქმის საშუალებას იძლევა. ლაბორატორიაში სტუდენტი სწავლობს ექსპერიმენტის ჩატარებას. ლაბორატორიული მეცადინეობის დროს სტუდენტი უნდა ეუფლებოდეს მოწყობილობათა გამართვას, რეგულირებასა და მუშაობის რეჟიმის დადგენას. ექსპერიმენტულ სასწავლო ლაბორატორიებში გამომუშავებული ჩვევები ლექციებზე მოსმენილი თეორიული მასალის გააზრების საშუალებას იძლევა.

**სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა** - არის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წარმატებით ათვისებისათვის დახარჯული სამუშაო დროის (შრომის) რაოდენობა ძირითადი ლიტერატურის გაცნობა-შესწავლიდან - ჯგუფურ მუშაობამდე და/ან შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადებისათვის.

**სწავლება-სწავლის შესაბამისი აქტივობებია:**

**დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი, რომელიც მკვეთრად ამალღებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. ეს მეთოდი განუვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს;

**ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლების დროს სტუდენტები იყოფიან ჯგუფებად და მათ ეძლევათ სასწავლო დავალებები. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში;

**პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** – აღნიშნული სასწავლო მეთოდი ახალი ცოდნის მიღებისა და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად პრობლემის დასმას იყენებს;

**თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** – სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში; თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

**ეგრისტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება;

**შემთხვევის ანალიზი (Case study)** – პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს;

**გონებრივი იერიში (Brain storming)** – ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგა რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- ა) პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
- ბ) დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
- გ) გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;

**დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია, ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს;

**პრეზენტაცია** - არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პრეზენტაციაზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პრეზენტაცია განხორციელდება ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. დასრულების შემდეგ პრეზენტაცია წარედგინება ფართო აუდიტორიას.

**ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

**დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

**ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

**სინთეზის მეთოდი** გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

**წერიითი მუშაობის მეთოდი**, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და ხელნაწერის დამუშავება.

**პროექტის შემუშავება** -პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

**პრაქტიკული მეთოდები** – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უწყობს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, საწარმოო პრაქტიკა.

**საწარმოო პრაქტიკა** არის სავალდებულო კომპონენტი და პროგრამის განუყოფელი ნაწილი. იგი ორიენტირებულია სტუდენტის პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. იგი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს რეალურ ცხოვრებაში გამოსცადოს აკადემიურ გარემოში შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები). პრაქტიკა არის განაცხადი სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან/და რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს სწავლის დასრულების შემდგომ. პროფესიული კომპეტენციები, რომლის მიღწევაცაა დაგეგმილი პროფესიული პრაქტიკის ფარგლებში ზოგადად არის ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიური კომბინაცია.

**საბაკალავრო ნაშრომი** წარმოადგენს ერთგვარ შემაჯამებელ სამუშაოს, რითაც მოწმდება სპეციალობის სფეროში სტუდენტის არგუმენტაციის ანალიზისა და სინთეზის უნარი, ასევე პრობლემების ხედვის თუ შეფასების შესაძლებლობები. საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისთვის გამოიყენება სწავლების მეთოდების სხვადასხვა სახეობა, კერძოდ: წიგნზე მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს ნაშრომის თემასთან დაკავშირებული მასალების მოძიებას, მომზადებას, მათ დაჯგუფებას, სისტემატიზირებას და დამუშავებას;

**14. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა**

ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა იყენებს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით განსაზღვრულ და მის საფუძველზე დამტკიცებულ თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედ შეფასების სისტემას, რომელიც დამტკიცებულია თჰუ რექტორის 2017 წლის 18 იანვრის N10/01 ბრძანებით და მოდიფიცირებულია, თჰუ რექტორის 2018 წლის 19 ივნისის N108/01 ბრანებით. აღნიშნული შიდასაუნივერსიტეტო რეგულაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია და ამ პროგრამის განუყოფელი ნაწილია.

თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემა შემდეგ კომპონენტებად იყოფა:

შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას, რომელშიც მოიაზრება:

**სტუდენტის აქტივობა** სასწავლო სემესტრის განმავლობაში-**30 ქულა;**

**ერთი შუალედური გამოცდა**- **30 ქულა;**

**დასკვნითი გამოცდა** - **40 ქულა.**

შუალედური შეფასებების კომპონენტში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს მინიმუმ **11 ქულას.**



დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს დასკვნითი შეფასების საერთო ჯამის 50%-ს ანუ 20 ქულას 40 ქულიდან.

**კანონმდებლობით დადგენილი შეფასების საერთო მოთხოვნები:**

- დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:
  - ა) შუალედურ შეფასებებს;
  - ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.
- საბოლოო შეფასების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.
- დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა
- სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50% მიღების შემთხვევაში.
- დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 კალენდარული დღისა.

**შეფასების სისტემა უშვებს:**

**ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

- ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

**ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:**

**ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა** – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

**ბ.ბ) (F) ჩაიჭრა** – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

ერთ-ერთი უარყოფით შეფასების: **(FX) ვერ ჩააბარა-ს** მიღების შემთხვევაში სასწავლო უნივერსიტეტი ნიშნავს დამატებით გამოცდას დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ **5 დღეში** და აისახება საგამოცდო ცხრილში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის სტუდენტის საბოლოო შეფასება, რომელშიც არ მოიაზრება ძირითად დასკვნით გამოცდაზე მიღებული უარყოფითი ქულა.

თუ სტუდენტმა დამატებით გამოცდაზე მიიღო **0-დან 50** ქულამდე, საბოლოო საგამოცდო უწყისში სტუდენტს უფორმდება შეფასება **(F) -0 ქულა**.

➤ შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები დეტალურად ჩაშლილია სილაბუსებში და გათვალისწინებულია საგნის სპეციფიკა

**14.1 საწარმოო პრაქტიკის განხორციელების პროცესი და შეფასების კრიტერიუმები**

„ბიზნესის ადმინისტრირების“ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია საწარმოო პრაქტიკის გავლა. საწარმოო პრაქტიკა წარმოადგენს პროგრამის განუყოფელ ნაწილს, სავალდებულო სასწავლო კურსის

სახით. იგი ორიენტირებულია სტუდენტის პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. იგი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს, რეალურ ცხოვრებაში გამოსცადოს აკადემიურ გარემოში შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა, უნარები და პროფესიული ღირებულებები). პრაქტიკა მნიშვნელოვანია სამივე დაინტერესებული მხარისათვის: სტუდენტის, უნივერსიტეტისა და დამსაქმებლებათათვის.

საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება უნივერსიტეტის პარტნიორ ორგანიზაციებში. პრაქტიკის ობიექტი (პრაქტიკაზე მიმღები ორგანიზაცია) ან მისი სტრუქტურული ერთეული არის დარგის შესაბამისი. პრაქტიკას ხელმძღვანელობს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის წარმომადგენელი, რომელიც პასუხისმგებელია პრაქტიკის სილაბუსის განხორციელებაზე; პრაქტიკის ობიექტი გამოყოფს მენტორს, რომელიც პასუხისმგებელია პრაქტიკის ობიექტში სტუდენტზე ზედამხედველობის განხორციელებაზე და უნივერსიტეტს უკავშირდება შესაბამისი კონტრაქტით; სასწავლო პრაქტიკა არის განაცხადი სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან/და რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს სწავლის დასრულების შემდგომ. პროფესიული კომპეტენციები, რომლის მიღწევაცაა დაგეგმილი საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში, ზოგადად არის ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიური კომბინაცია.

საწარმოო პრაქტიკის სილაბუსში სავალდებულო წესით უნდა აისახოს: პრაქტიკის მიზნები; მისაღწევი სწავლის შედეგები; დარგობრივი და ზოგადი/ტრანსფერული კომპეტენციები; განხორციელების ადგილი და ვადები; პრაქტიკის პროცესში განსახორციელებელი აქტივობა; სტუდენტის უფლებები და პასუხისმგებლობები; დღიურის წარმოების წესი; პრაქტიკის ანგარიში; პრაქტიკის შეფასების კრიტერიუმები; პრაქტიკის განსაკუთრებული პირობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

**14.2. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართული ორგანიზაციები და დაწესებულებები (პერმანენტულად ცვალებადია):**

- ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია
- შპს აუდიტორული ფირმა „ორბი“
- შპს „ორი ნაბიჯი“
- შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“
- ა(ა)იპ „ტურიზმის და მენეჯმენტის აკადემია“

**15. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და მოცულობა კრედიტებით**

ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა აგებულია თეორიული და პრაქტიკული პროფილით. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამით ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო **240 ECTS** კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

- 20 ECTS კრედიტი ეთმობა საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების სასწავლო კურსებს, მათ შორის 5 კრედიტი არის სტუდენტის არჩევით (სოციოლოგიის შესავალი ან ფსიქოლოგიის ისტორია). ასევე,
- 20 ECTS კრედიტი ეთმობა უცხოური ენის (ინგლისური) შესწავლას - 4 სემესტრის განმავლობაში 5-5 კრედიტის ოდენობით.

- 60 ECTS კრედიტი ეთმობა საბაზისო სასწავლო კურსებს.
- 70 ECTS კრედიტი გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის, მათ შორის 10 კრედიტი ეთმობა საბაკალავრო კვლევით ნაშრომს, 10 კრედიტი – სასწავლო პრაქტიკას.
- 10 ECTS კრედიტი (5-5 კრედიტი VII და VIII სემესტრში) გამოიზნულია სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებისთვის, რომელთაც სტუდენტი ირჩევს თავისი დაინტერესებიდან გამომდინარე.
- 60 ECTS კრედიტს კი სტუდენტი ივსებს 6 სემესტრის განმავლობაში 10-10 კრედიტის ოდენობით, მოყოლებული III სასწავლო სემესტრიდან თავისი სურვილისამებრ - თავისუფალი კომპონენტებით, რომელთა არჩევაც მას შეუძლია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან: სამართალმცოდნეობა, ტურიზმი, სტომატოლოგია.

**16. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის განხორციელების მატერიალურ-ტექნიკური რესურსები**  
 საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზაციას უზრუნველყოფს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, საჭიროების შემთხვევაში აფორმებს ხელშეკრულებებს პრაქტიკოს სპეციალისტთა ან/და დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სხვა უმაღლეს დაწესებულებაში დასაქმებული პირების პროგრამის განხორციელებაში ჩასართავად მოწვევის თაობაზე;

პროგრამის რეალიზაციისათვის გამოიყენება თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, კომპიუტერებით, პროექტორებითა და საპროექციო ეკრანებით, ასევე სხვა სასწავლო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, საპროფესორო.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია აუცილებელი სასწავლო-მეთოდური მასალებით: შესაბამისი საბიბლიოთეკო ფონდებით (წიგნადი, ციფრული); თანამედროვე სახელმძღვანელოებით, ინტერნეტ-რესურსებითა და სხვა საინფორმაციო მასალებით. ყველა სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია შემდეგი საბიბლიოთეკო ფონდები, მონაცემთა ბაზები, ბმულები:

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა <http://www.nplg.gov.ge/geo/home>

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ლიტერატურის ბმული: <http://thu.edu.ge/m385>

საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბმულები: <https://www.questia.com/library/economics-and-business>

<http://www.gutenberg.org/catalog/>

ა(ა)იპ "საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმი 2017"-სა და შპს - "თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს" შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შპს "თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი", "ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის – eIFL" მონაწილეთა კონსორციუმის წევრია და შესაძლებლობა აქვს გამოიყენოს მრავალფეროვანი ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსები, ელექტრონული ჟურნალები და სხვა ელექტრონული მასალები.

**17. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა**

„ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამის განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფა ხდება თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მიღებული შემოსავლების, დამფუძნებელთა მიერ განხორციელებული ინვესტიციებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და ნებადართული სხვა სახსრების გამოყენებით. პროგრამის სარეალიზაციოდ მოზიდული ზემოაღნიშნული ფინანსები

გამოიყენება აკადემიური პერსონალის სახელფასო უზრუნველყოფის, სტუდენტთა წახალისებისა და მოტივაციის, საბიბლიოთეკო ფონდის განახლების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად და სხვა სასწავლო-საგანმანათლებლო მიზნებისათვის. საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის აღწერა მოცემულია ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის ბიუჯეტში.

### 18. პროგრამის ინტერნაციონალიზაცია

საგანმანათლებლო პროგრამა მოდიფიცირებულია საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. იგი თავსებადია ევროპის ქვეყნების ანალოგიურ პროგრამებთან, რაც სტუდენტებს საერთაშორისო დაუბრკოლებელი მობილობის საშუალებას აძლევს. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაზრდის მიზნით, უნივერსიტეტი, ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის შუამდგომლობის საფუძველზე უფლებამოსილია მოიწვიოს უცხო ქვეყნის ან/და უცხოენოვანი პერსონალი პროგრამით განსაზღვრული სასწავლო დისციპლინების უცხო ენაზე წაყვანის მიზნით. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაზრდის მიზნით, უნივერსიტეტი, ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის შუამდგომლობის საფუძველზე, უფლებამოსილია ქართული ენის მოსამაზადებელი საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების წინაპირობით, მოიზიდოს უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტები.

საბაკალავრო პროგრამის რეალიზაციაში ჩართული აფილირებული და არააფილირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი სისტემატურად ღებულობს მონაწილეობას პროფესიულ საერთაშორისო სემინარებსა და კონფერენციებში, რაც ასევე აძლიერებს პროგრამის საერთაშორისო ასპექტს. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი ზრუნავს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმების გზითა და ინტერნაციონალიზაციის ხელშესაწყობად, მჭირდო ურთიერთობები იქონიოს/დაამყაროს საზღვარგარეთის ქვეყნების უნივერსიტეტებსა და ეკონომიკის, ბიზნესისა თუ მენეჯმენტის ფაკულტეტებთან.

#### დანართების სახით იხილეთ:

- პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო გეგმა და სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამის ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა;
- პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე (CV) და საკონტაქტო ინფორმაცია.